საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს სხდომის

ოქმი №285

16 დეკემბერს 2014 წელი, თბილისი, საქართველო

2014 წლის 16 დეკემბერს 11:00 სთ-ზე სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ადმინისტრაციულ კორპუსში (კოსტავას 68) გაიმართა სამეურვეო საბჭოს სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ საბჭოს წევრები: გრიგოლ გოგელია, ქეთევან მსხილაძე, ნათელა სახოკია, ლელა გაფრინდაშვილი, მარინა მუსხელიშვილი და ალექსანდრე ვახტანგოვი. სხდომის მიმდინარეობაში მონაწილეობას სკაიპის საშუალებით გიორგი კოხრეიძე ღებულობდა. მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონის 28 მუხლის I პუნქტის თანახმად, საბჭო უფლებამოსილი იყო გაემართა სხდომა.

სხდომამ განიხილა შემდეგი საკითხები:

1. სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ საქართველოს მასშტაბით ტელე-რადიოპროგრამების გასავრცელებლად შპს „ტელერადიოცენტრი“-სგან შესაბამისი მომსახურების შესყიდვაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

2. სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ რეკლამისა და სასპონსორო გაყიდვების სამსახურის სარეკლამო აგენტების შრომის ანაზღაურების პირობების დადგენის შესახებ.

3. სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ აჭარის ტელევიზიის და რადიოს დებულების დამტკიცების შესახებ.

4. სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ აჭარის ტელევიზიის და რადიოს 2014 წლის კორექტირებული ბიუჯეტის პროექტის განხილვა.

5. მიმდინარე საკითხები.

სამეურვეო საბჭოს სხდომას საბჭოს თავმჯდომარე გრიგოლ გოგელია უძღვებოდა. მიმდინარე სხდომას საბჭოს წევრების გარდა, ესწრებოდნენ მაუწყებლის გენერალური დირექტორი გიორგი ბარათაშვილი, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“აჭარის ტელევიზიის და რადიოს გენერალური დირექტორი იოსებ სტურუა და მრჩეველთა საბჭოს თვმჯდომარე ზაზა ხალვაში.

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომა დღის წესრიგის წარდგენით გახსნა, მან აღნიშნა, რომ ყველა ის საკითხი, რომელიც შესულია მიმდინარე სხდომის დღის წესრიგში, საბჭოს წევრების მიერ განიხილულია სამუშაო შეხვედრებზე, რომლებიც სისტემატიურად იმართება, დღევანდელ სხდომაზე წევრების მხრიდან მოხდება ზემოთ ხსენებულ საკითხებზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღება.

პირველი საკითხი

გრიგოლ გოგელიამ აღნიშნა, რომ პირველ ორ საკითხთან დაკავშირებითი ინფორმაციას მაუწყებლის გენერალური დირექტორი გააკეთებს. გიორგი ბარათაშვილმა ისაუბრა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ საქართველოს მასშტაბით ტელე-რადიოპროგრამების გასავრცელებლად შპს „ტელერადიოცენტრი“-სგან შესაბამისი მომსახურების შესყიდვაზე, ხელშეკრულების გაფორმების აუცილებლობის შესახებ, საკითხზე ინფორმაციის მოსმენის დასრულების შემდგომ, საბჭოს წევრებმა კითხვები დაუსვეს გენ. დირექტორს, რომელმაც ამომწურავი პასუხი გასცა წევრების მიერ დასმულ კითხვებს, რის შემდეგაც საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შემდეგი საკითხი:

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ საქართველოს მასშტაბით ტელე-რადიოპროგრამების გასავრცელებლად შპს „ტელერადიოცენტრი“-სგან შესაბამისი მომსახურების შესყიდვაზე თანხმობის მიცემის შესახებ, რომელსაც სხდომაზე დამსწრე ყველა წევრმა დაუჭირა მხარი, ასევე თანხმობა ხელის აწევით დაადასტურა გიორგი კოხრეიძემ, რომელიც კენჭისყრაში სკაიპის საშუალებით იღებდა მონაწილეობას. (გადაწყვეტილება და მაუწყებლის გენ.დირექტორის საკითხის შესაბამისი სამსახურებრივი ბარათი ოქმს თან ერთვის).

მეორე საკითხი

გიორგი ბარათაშვილმა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხის შესახებ ისაუბრა, მან აღნიშნა, რომ წინა სამეურვეო საბჭოს მიერ მოხდა რამოდენიმე სახის შრომითი ხელშეკრულების ფორმის დამტკიცება, არც ერთი მათგანი არ განსაზღვრავს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ რეკლამისა და სასპონსორო გაყიდვების სამსახურის სარეკლამო აგენტების შრომის ანაზღაურების პირობებს და აუცილებელია შრომითი ხელშეკრულების ერთ-ერთ ფორმაში შევიდეს ცვლილება და დადგინდეს სარეკლამო აგენტების შრომის ანაზღაურების პირობები. საკითხზე ინფორმაციის მოსმენის დასრულების შემდგომ, საბჭოს წევრებმა კითხვები დაუსვეს გენ. დირექტორს, რომელმაც ამომწურავი პასუხი გასცა წევრების მიერ დასმულ კითხვებს, რის შემდეგაც საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შემდეგი საკითხი:

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ რეკლამისა და სასპონსორო გაყიდვების სამსახურის სარეკლამო აგენტების შრომის ანაზღაურების პირობების დადგენის შესახებ, რომელსაც სხდომაზე დამსწრე ყველა წევრმა დაუჭირა მხარი, ასევე თანხმობა ხელის აწევით დაადასტურა გიორგი კოხრეიძემ, რომელიც კენჭისყრაში სკაიპის საშუალებით იღებდა მონაწილეობას. (გადაწყვეტილება და მაუწყებლის გენ.დირექტორის საკითხის შესაბამისი სამსახურებრივი ბარათი ოქმს თან ერთვის).

პირველ და მეორე საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, მაუწყებლის გენ.დირექტორმა სხდომა დატოვა.

მესამე საკითხი

მესამე საკითხის შესახებ, რომელიც სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ აჭარის ტელევიზიის და რადიოს დებულების დამტკიცებას ეხებოდა, ინფორმაცია აჭარის

ტელევიზიის და რადიოს გენ.დირექტორმა და მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარემ გააკეთეს. სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარემ და წევრებმა კიდევ ერთხელ აღნიშნეს, რომ სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ აჭარის ტელევიზიის და რადიოს ხელმძღვანელობის მიერ წარმოდგენილი დებულების პროექტის შესახებ, საბჭოს წევრებმა სამუშაო შეხვედრაზე დეტალურად განიხილეს, აღნიშნულ სამუშაო შეხვედრას, აჭარის ტელევიზიის გენ.დირექტორი იოსებ სტურუა და მათი იურისტი მალხაზ ბოლქვაძე ესწრებოდნენ. გრიგოლ გოგელიამ აღნიშნა, რომ სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭო იზიარებს აჭარის ტელევიზიის მიერ მოყვანილ არგუმენტს აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში, კერძოდ:

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ აჭარის ტელევიზია და რადიო არის ახლად შექმნილი ორგანიზაცია, მას არ აქვს მოქმედი დებულება, ორგანიზაციის გამართულად ფუნქციონირებისთვის დებულების არ ქონა რთულია.

საკითხზე მსჯელობის დასრულების შემდგომ, გრიგოლ გოგელიამ კენჭისყრაზე დააყენა შემდეგი:

დამტკიცდეს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ აჭარის ტელევიზიის და რადიოს დებულება წარმოდგენილი სახით, აჭარის ტელევიზიის ხელმძღვანელობამ იმუშაოს ახალი დებულების პროექტზე, რომელიც თანხვედრაში იქნება ასევე ახალ სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ დებულებასთან, რომელის შექმნაც მაუწყებლის რეფორმის ერთ-ერთი ძირითადი ნაწილია. თავმჯდომარის მიერ კენჭისყრაზე დაყენებულ საკითხს სხდომაზე დამსწრე ყველა წევრმა დაუჭირა მხარი, ასევე თანხმობა ხელის აწევით დაადასტურა გიორგი კოხრეიძემ, რომელიც კენჭისყრაში სკაიპის საშუალებით იღებდა მონაწილეობას. (გადაწყვეტილება ოქმს თან ერთვის).

მეოთხე საკითხი

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ აჭარის ტელევიზიის და რადიოს 2014 წლის კორექტირებული ბიუჯეტის პროექტის განხილვას დაეთმო, საკითხზე საუბარი აჭარის ტელევიზიის გენ.დირექტორმა და მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარემ დაიწყეს, იოსებ სტურუამ აღნიშნა, რომ ის სამეურვეო საბჭოს მოწვევით ესწრებოდა სამუშაო შეხვედრას, სადაც საბჭოს წევრები და მათი ფინანსური კონსულტანტი გიორგი ნატროშვილი განიხილავდნენ სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ აჭარის ტელევიზიის და რადიოს 2014 წლის კორექტირებული ბიუჯეტის პროექტს და 2015 წლის ბიუჯეტის პროექტს (2015 წლის ბიუჯეტის პროექტი დღევანდელი სხდომაზე არ განიხილება), იოსებ სტურუამ აღნიშნა, რომ სამუშაო შეხვედრაზე საბჭოს წევრების და გიორგი ნატროშვილის მხრიდან მოთხოვნილ იქნა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ აჭარის ტელევიზიის და რადიოს 2014 წლის კორექტირებული ბიუჯეტის პროექტის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მოწოდება, რაც შესრულებულ იქნა, აჭარის ტელევიზიის ფინანსურ მენეჯერს ეკა შაინიძეს და საბჭოს ფინანსურ კონსულტანტს შორის არის ხშირი კომუნიკაცია, მოწოდებულია მოთხოვნილი ინფორმაცია და დღევანდელ სხდომაზე აჭარის ტელევიზიის ხელმძღვანელობა მზად არის უპასუხოს ყველა იმ კითხვას, რომელიც წევრებს ექნებათ ზემოთ აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში.

საკითხზე მსჯელობა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაიმართა, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მიმდინარეობისას ორჯერ შესვენება გამოაცხადა. საბჭოს თავმჯდომარემ და წევრებმა დააფიქსირეს საკუთარი პოზიციები მიმდინარე სხდომაზე წარმოდგენილ სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ აჭარის ტელევიზიის და რადიოს 2014 წლის კორექტირებული ბიუჯეტის პროექტის შესახებ. ხანგრძლივი მსჯელობის შედეგად, საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა:

ნაწილობრივ დამტკიცდეს სხდომაზე აჭარის ტელევიზიის ხელმძღვანელობის მიერ წარმოდგენილი სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ აჭარის ტელევიზიის და რადიოს 2014 წლის კორექტირებული ბიუჯეტის პროექტი, კერძოდ:

გრიგოლ გოგელიამ კენჭისყრაზე დააყენა სამი წინადადება, კერძოდ:

1. ვინ არის მომხრე, რომ შევიდეს ცვლილება სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ აჭარის ტელევიზიის და რადიოს 2014 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული კომპანია თურქსატის მომსახურების გადასახდელი თანხა, გაიცეს აჭარის ტელევიზის თანამშრომლებზე პრემიის სახით, ხოლო მომსახურების თანხა დაიფაროს 2015 წლის ბიუჯეტიდან, აღნიშნულ წინადადებას 7 წევრიდან მხოლოდ, ერთმა წევრმა გიორგი კოხრეიძემ დაუჭირა მხარი.
2. ვინ არის მომხრე სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ აჭარის ტელევიზიის და რადიოს ხელმძღვანელობის მიერ 2014 წლის ბიუჯეტის მივლინებისთვის გათვალისწინებულ ნაწილში, დაზოგილი თანხა გაიცეს აჭარის ტელევიზის თანამშრომლებზე პრემიის სახით. აღნიშნულ წინადადებას ექვსმა წევრმა დაუჭირა მხარი.
3. ვინ არის მომხრე სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ აჭარის ტელევიზიის და რადიოს სხვადასხვა დაზოგილი თანხა მივლინების ნაწილში, გაიცეს აჭარის ტელევიზის თანამშრომლებზე პრემიის სახით. აღნიშნულ წინადადებას ექვსმა წევრმა დაუჭირა მხარი.
4. ვინ არის მომხრე, რომ სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ აჭარის ტელევიზიის და რადიოს 2014 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული კომპანია „თურქსატის“ მომსახურების გადასახდელი თანხა, დაიფაროს 2014 წლის ბიუჯეტიდან (როგორც იყო დაგეგმილი) და არ გადავიდეს 2015 წლის ბიუჯეტში, აღნიშნულ წინადადებას ექვსივე წევრმა დაუჭირა მხარი. (გადაწყვეტილება ოქმს თან ერთვის). ამ ფორმულირებით გადწყვეტილების მიღების წინადადება, მიმდინარე სხდომაზე საბჭოს წევრმა ლელა გაფრინადშვილმა დააყენა, მის წინადადებას საბჭოს წევრთა უმრავლესობა დაეთანხმა.

შემდგომ, გრიგოლ გოგელიამ სხდომა დახურულად გამოაცხადა, საბჭოს შემდეგი სხდომის თარიღი, დრო და დღის წესრიგი საბჭოს წევრებს დამატებით ეცნობებათ (2014 წლის 16 დეკემბრის საბჭოს სხდომის სრული ვიდეო ჩანაწერი განთავსებულია მაუწყებლის ვებ-გვერდზე: http://gpb.ge/BoardDecision.aspx?LangID=1).

საბჭოს თავმჯდომარე გრიგოლ გოგელია

სხდომის მდივანი ირინე ზაქარიაშვილი